

კაჟა ეტზისელო

კოლხური  
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული  
100 ტომად


2020



საქართველოს მწიბრალთა, მცენიერთა და  
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# ჰაჰა ეჭრისული



## კოლხური ფსალმუნები

ტომი 14

2020



მთ. რედაქტორი

**ეკატერინე გობიაშვილი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი, საქარ-  
თველოს მწერალთა, მეცნიერთა  
და საზოგადო მოღვაწეთა  
საერთაშორისო აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს  
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაინის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-821-2 (14 ტომი)



\* \* \*

**ვაჟა ებრისელი** დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაშვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს გწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს გწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს გწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსახეთის მმცნიერებათა აკადემიის პრეზი-აკადემიკოსის, სსპარტოველოს ბანათელეებისა და სსპარტოველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპიის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეგი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდალ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთომეულო, აბრეთვე, პრეზისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პრეზების, მმცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასაგვე ავტორი) წიგნების (მონობრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს ბაიმაართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდიენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდიენტი, ცნობილი პრეზი, ქართული პრეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სსპარტოველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





## პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტიტებზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანცოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეულზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეშავი მისვლია... მათ იცინან იმ იწყება დღემდევის ისტორია“.

### ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





**„ბუნცივად უმხვდი ყოველ ქებას, ყოველ  
კაბეზას.“**

**ა. პუშკინი**

**წინასიტყვაობის მაგიერ**

**(გაგრძელება)**

წინამდებარე მონოგრაფიაში პროფესორი ციალა მესხია გვთავაზობს ვაჟა ეგრისელის პოეზიის ისეთ საკითხებს, როგორცაა საქართველოს ისტორიული წარსულისა და გმირ წინაპართა სახეების წარმოჩენა, კოლხეთის კოლორიტული პოეტური პეიზაჟებისა და ციხე-ტაძრებისადმი მიძღვნილი ლექსების სიუხვე და მრავალფეროვნება, მგოსნის დამოკიდებულება ფოლკლორისადმი, კოსმიური სამყაროსადმი. პოეტის მიერ შესრულებული არაორდინალური ლექსების მხატვრული და მსოფლმხედველობრივი მხარეები, რაც ვაჟა ეგრისელს წარმოაჩენს, როგორც პოეტ ნოვატორს, საკუთარი ხმის გამორჩეულ შემოქმედს. აქვე განხილულია ნოვატორული ძიების, სტილის, ფორმის ინდივიდუალური თავისებურება.





წიგნი განკუთვნილია როგორც მეცნიერებისა და სტუდენტების, ასევე მხატვრული ლიტერატურითა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

\* \* \*

პოეზია უჩვეულო მოვლენაა. სიტყვის მეოხებით, ნაირ-ნაირ მხატვრულ საშუალებათა მომარჯვებით სამყაროს მრავალფეროვნების აღქმა-ათვისება და შესაბამისად მკითხველისათვის წარმოდგენა ჭეშმარიტი შემოქმედის უპირველესი ვალია.

რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის... შემდეგ ქართულ ლექსთან შეჭიდება გმირობის ტოლფასია. კლასიკა და თანამედროვეობა ყველგან და ყოველთვის ნებსით თუ უნებლიეთ ეხიდებიან ერთურთს... ახლის, ორიგინალურის შექმნის პროცესი მიწყვი უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული...

სასურველია, ნებისმიერი პოეტის შემოქმედების განხილვა-შეფასება უწინარეს ყოვლისა, ხდებოდეს აბსოლუტური ობიექტურობის მაღალი კომპეტენტურობისა და სათანადო პასუხისმგებლობის პოზიციებიდან.



ამჟამადაც აქტიურად მოქმედი ცოცხალი, მაძიებელი ავტორის ნაწარმოებთა შესახებ კვლევისა და დაკვირვების გზით მიღებულ საკუთარ შეხედულებათა ოფიციალურად გამოთქმა-გამომხვეურება, დაუნჯებულ-დამაჯერებელი დებულებებით პოეტის შემოქმედებაზე სერიოზული მსჯელობა და მყარი, დასაბუთებული დასკვნების გამოტანა მკვლევარისა თუ კრიტიკოსის აუცილებელი და საპატიო მისიაა; მაგრამ, რა დასამალია, ამჯერად, უფრო ძნელი გახლავთ ზომიერების ოქროდ ღირებული გრძნობისმქონეობა და გამოვლენა, რამეთუ, გამორიცხული არ არის, საჭირო მკაცრი კრიტერიუმებიდან ოდნავი დაშორებითაც კი წინააღმდეგობრივი მოვლენების თუ იდეების წამოტივტივება-წარმოჩენა...

წინამდებარე წიგნის ავტორმა, ქალბატონმა ცილა მესხიამ, რომელმაც ამავე პრობლემაზე ადრეც გამოაქვეყნა საყურადღებო მონოგრაფიები, სცადა ქართველი პოეტის ვაჟა ეგრისელის შემოქმედების სკრუპულოზური ანალიზითა და მრავალრიცხოვან მწერალთა, მეცნიერთა, ხელოვანთა შესწავლა-შეჯერებით წარმოედგინა მეტად მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი კონცეფციები და ღირებული დებულებები.

ჩვენ, ვითარც რეცენზენტი, თავს მოვალედ ვრაცხთ, რომ ყოველი სტრიქონი, მიძღვნილი თავისთავადი ხმის, საინტერესო მოტივებისა და ტენდენცი-



ის მატარებელი მაღალნიჭიერი შემოქმედებისადმი, როგორცაა ბატონი ვაჟა ეგრისელი, საესებით აკმაყოფილებდეს ანალოგიური შრომისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

ჩვენი აზრით, ქალბატონი ციალა მესხიას მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ფრიად სერიოზული, დიდი ძალისხმევითაა და კეთილსინდისიერად შექმნილი გამოკვლევაა. უპირველესად, იგი უშუალოდ ეყრდნობა დიდი პოეტის ვაჟა ეგრისელის ათეული წლების განმავლობაში გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოცემულ წიგნებშია თავმოყრილი;

მონოგრაფიის ავტორი მაღალ პროფესიონალიზმს ამჟღავნებს.

გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ მკვლევარი საფუძვლიანად იცნობს და ითვალისწინებს პერიოდიკის ფურცლებზე, კრებულებში თუ ცალკე წიგნებად დაბეჭდილ მასალებს, რომლებიც ვაჟა ეგრისელის პოეტურ შემოქმედებას ეხმაურებიან.

წიგნის ავტორი ქალბატონი ციალა მესხია შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, ჩინებულად, დეტალურად და ამომწურავად არის ჩაღრმავებული პოეტის მთელს შემოქმედებას, მის ყველა მოტივს; სათანადოდ აანალიზებს მათ და გამოაქვს დასაბუთებული, დამაჯერებელი მეცნიერული დასკვნები ამა თუ იმ პრობლემასთან მიმართებით.



რაც შეეხება აზრთა ლოგიკურ, ბუნებრივ მსვლელობას, რაც ქალბატონი ციალა მესხიას მიერ წიგნის სხვადასხვა ნაწილშია შემოთავაზებული, მკაცრი, მაგრამ კეთილმოსურნე მკითხველისათვის გასაზიარებლად გვეჩვენება.

ვფიქრობთ, დაინტერესებულ პიროვნებებს ეძლევათ რეალური შესაძლებლობა, უფრო სიღრმისეულად, ცალკეულ ნიუანსთა მიხედვით გაეცნონ ბატონი ვაჟა ეგრისელის პოეზიას, რომელიც გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დღემდის იქცევა კრიტიკოსთა და მკვლევართა დიდ ყურადღებას, როგორც თემატიკური მრავალფეროვნებით, პრობლემის აქტუალურობით, ისე ორიგინალური მხატვრული გამომსახველობითი საშუალებების მომარჯვებითაც.

ვიმედოვნებთ, კრიტიკოს მეცნიერ ციალა მესხიას წინამდებარე სოლიდური შრომას მკითხველი საზოგადოება უეჭველად მოიწონებს და გულთბილად მიიღ

**ნაპოლეონ ლემონჯავა**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი.

**სასწაული და ფანტაზია**  
(რეზიუმე)



ვაჟა ეგრისელის სახელი კარგა ხანია ჭეშმარიტად მაღალ კულტურულ ორიენტირებთან ასოცირდება. იგი იმ სულიერ ღირებულებას წარმოადგენს, რომლის ხილული თუ უხილავი სივრცე პოეზიის უნივერსალური განფენილობითაა აღბეჭდილი...

ვაჟა ეგრისელის პატრიოტული ღირიკის ოქროს საგანძურში იმკვიდრებს ადგილს ის ლექსები, რომლებიც საქართველოს ისტორიული წარსულისადმი, ქართული საბრძოლო დიდების ძეგლებისადმი, ძველი ციხე-სიმაგრეებისადმი და ციხის მცველებისადმი არის მიძღვნილი. პოეტმა საქართველოს ისტორიული წარსულის აბჯარასხმული რაინდი წინაპრების კოლორიტული გაღერება შექმნა, ქალსაც და კაცსაც ისეთი ძლიერი ვნებით გვიხატავს, რომ სამშობლოს სიყვარულის ტახტრევანზე ორივე გმირად ქცეულა. ეს ჯანსაღი, ვაჟკაცური სული ტრიალებს მათ არსებაში, როგორც ეგრისელის სხვა ღირიკულ შედეგებში და ყველგან ღირიკულ მინორს თან სდევს ღირიკული მაჟორი. მინორითა და მაჟორის ასეთი ორგანული ერთიანობა ვაჟა ეგრისელის პოეზიის ისეთივე დამახასიათებელი თვისებაა, როგორც იგი გვხვდება ლექსში „შავღეგო“, სადაც თითოეული ქართველისათვის ცნობილი მამულის სიყვარულით გაბრწყინებული კრიალოსნის მძივებია ასხმული.

ვაჟა ეგრისელი განსაკუთრებული ფენომენია ქართულ პოეზიაში. მისი პოეზიის თემატიკა მრავალ-



ფეროვანია და მრავალწახნაგოვანი. მასში ნათლად იკვეთება ავტორის პოზიცია, მსოფლმხედველობა, მისი დამოკიდებულება გარესამყაროსადმი, იმ მოვლენებისადმი, რომლებიც მარადიული ფიქრებისა და განცდების ლაბირინთებში დაატარებენ პოეტს. მისი პოეზია სევდაა ნეტარი, შვებაა მწუხარე და ნოსტალგიაა შორეულის გამოსხმობისა. იგი მუდამ გაგვაოცებს თავისი შემოქმედებითი ენერგიით, ტალანტით, მხატვრული მრავალსახეობის გამოვლენით, ჯერარსმენილი მოტივებით, ინტონაციებით და კეთილხმოვანების სასწაულებით. იგი როგორც პოეტი მოაზროვნე და პოეტი ნოვატორი, ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში, ცხოვრებისეულ რეალობათა შემეცნებაში სრულიად ახალ მიდგომებს, ხედვებსა და მასშტაბებს ამკვიდრებს.

ვაჟა ეგრისელის ლექსის ყოველი პწკარი ემსახურება კაცობრიობის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის წმიდათაწმიდა მიზანს. პოეტის მთელი შემოქმედება მიმართულია სამშობლოს, ხალხის ბედნიერებისაკენ.



## ზღვის თემა ქართულ პოეზიაში

პოეზიის მდინარე უხსოვარი დროიდან შეუნელებლად მოედინება, მის მარადიულობას ხომ ის დიდი თუ პატარა შენაკადები განაპირობებენ, რომელთა სიუხვით მუდამ ამაცობდა და ამაცობს ქართული სიტყვა, ქართული ლექსი. ლექსით და საერთოდ პოეზიით ქართველი კაცის გაკვირვება ძნელი საქმეა. რა უნდა ითქვას ისეთი, რომ მაღალ გემოვნებიანი მკითხველი გააოცო?

მიუხედავად ამისა, მაინც ჩვენდა საბედნიეროდ, ყველა დროს თავისი სათქმელი მოაქვს, ყველა დროის ადამიანი თავისებურად აფასებს იმ გზას, რაც სხვებს აქამდე გაუვლიათ. ახალი სახელის გამოჩენა ლიტერატურაში თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია განსაკუთრებულ მოვლენასთან...

ამთავითვე ძვირფას მკითხველს უნდა ვაუწყო, რომ წიგნის სათაურად მიცემული სტრიქონი – „სასწაული და ფანტაზია“ – ვაჟა ეგრისელის ერთ-ერთი ლექსიდანაა მოტანილი და პოეტის შემოქმედების მთლიან გამოხატულებად მიგვაჩნია...

როგორც მთიდან ქუხილით დაშვებული ჩანჩქერი, ისე შემოიჭრა ჩვენს სინამდვილეში ვაჟა ეგრისელის სულისშემძვრელი პოეზია და ჩვენს წინაშე აღიმართა განუმეორებელი კოლოსის სახით:



„ესაა წიგნი –  
სიყვარულით შემოღობილი,  
ვითარც შემქმნლო დავრბე,  
დავაბეჭდე  
და გავახარე სიტყვა ქართული.  
და მცირე ნაყოფს –  
მეც მოვესწარი.  
მინთია აზრი...

ფიქრის კვამლი ადის ფათქუნით...  
და მე აქ ვცხოვრობ,  
კარ-მიდამო ჩემი ეს არი.“ –

(„ჩემი კარ-მიდამო“)

ამბობს პოეტი და უნებურად მოწმე ვხდებით სასწაულისა. მის კარ-მიდამოში შემობრძანების უფლებაც, ალბათ, რჩეულთა ხვედრია-მეთქი, რამეთუ პოეზიის სასწაულთან ზიარება არც თუ იოლი საქმეა!

კრიტიკოსები, ლიტერატორები და მკვლევარები ანაღიზებენ მის შემოქმედებაში გამოკვეთილ მოტივებს. ეხებიან მისი პოეზიის ორიგინალურ ხასიათს. ეროვნული თვითშეგრძნების სიმძაფრეს, მიუთითებენ ტრადიციულისა და ნოვატორულის შესახებ. უღრმავდებიან მისი ლექსების მითოსურ შრეებს, საოცარი





მეტაფორული სტრუქტურის სირთულეს, აღნიშნავენ მგოსნის უსამანო ინტელექტუალურ მასშტაბებს...

ვაჟა ეგრისელის პოეზია დამუხტულია ღრმა პოეტური შთაბეჭდილებებით, რომლებიც ერთგვარი ბეწვის ხიდია სიღრმისეული და ზედაპირულ რეალობებს შორის. პოეტისათვის ზედაპირული საგანი იმპულსს იძლევა შინაგანი გამომზეურებისათვის, მან კარგად იცის, რომ ხელშესახები მხოლოდ საკუთარ განცდებშია, რადგან აქცენტი სიცარიელზე გადააქვს, რათა გამოამჟღავნოს შინაგანი რეალობა. პოეტისათვის ლირიკული ქმნილება ცოცხალი ნიშნის მატარებელია. ერთადერთი მაინც, – როგორც აკადემიკოსი კოტე მელაშვილი ბრძანებს, – ვაჟა ეგრისელი გამოირჩევა სახისმეტყველებით.

უბადლო სახეებში გადმოსული მისი კეთილშობილური სული მოგზაურობს პოეზიის უკიდევანო სივრცეებში, მისი შთაგონებული ლირიკული ლექსები მთელს საქართველოზე სხივებს ჰფენს და ახალი თაობის გრძნობებს ესაღბუნება. მისმა უბადლო ლირიკამ მაღალ აზრთა სფეროში გაიხშიანა და თანამედროვე ადამიანის ზრახვებს შეუერთდა...

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული ფენომენი – ზღვაა.

„მხოლოდ ვაჟა ეგრისელის პოეზიაშია ზღვის თემა წამოწეული და ისე სრულყოფილად დაძლეული, რომ მთლიანობაში იგი ზღვის საგალობლად



წარმოგვიდგება. უფრო სწორად ზღვის თემა ვაჟა ეკრისელის პოეზიაში ერთ-ერთი მძაფრი შენაკადია და სრულიად სამართლიანად აქვს პრეტენზია იყოს თავისთავადი და სხვათაგან გამორჩეული, რადგან მის ლექსებში თავად ზღვაა შემოქმედი“.

ზღვის სიმბოლური გააზრების ჭეშმარიტი მატიანეა ბიბლია: „ზღვა მწარეწყლიანი მარილისგან და მშფოთვარე ქარიშხლისაგან, სიმბოლოა ამა სოფლისა“.

ხოლო გრიგოლ ხანძთელის თარგმანში „სოფლისა ზღვაი აღძრულ არს“ ვკითხულობთ: „სოფლისა ზღვაი აღძრულ არს ღელვათა ცოდვისათა, საშინლად დამნთქამს მე, და მოვიღტვი შენდა ნავსაყუდელსა და ესრეთ გიღაღადებ: „დანთქმისაგან მისსენ მე მრავალმოწყაღე“.

გენიოსი ვაჟა ფშაველას ცხოვრება „იანუსივით ორთავიანი ზღვაა“.

საქართველოს ბუღბუღი აკაკი წერეთელი ზღვას დიდებულ სტრიქონებს უძღვნის:

„ზღვაო აღელდი, აღელდი,  
ქარტეხილს დაემორჩილე!  
აამთაგორე ტალღები,  
კიდევებს გადააცილე!  
მარგალიტების საღარო,  
შენი უფსკრული გულია,



მყუდროობის დროს ის განძი,  
ქვეყნისთვის დაკარგულია.  
მხოლოდ როდესაც მრისხანებ,  
გულს უხსნი მზეს ან მთვარესა,  
ამ მარგალიტებს შესტყორცნი  
შენ შემკვრელ არემარესა“.

დიდმა გალაკტიონმა კი ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი სულით დაამარცხა სიკვდილის შიში. („მთაწმინდის მთვარე“).

შთავონების „დიად ნისლში“ მწოლიარე ზღვაზე ამახვილებს გრივოლ რობაქიძე ყურადღებას წერილში „ერის სული და შემოქმედება“.

ჯერ კიდევ დიდი გალაკტიონი ამბობდა, რომ შავი ზღვის თემა ფაქტობრივად ხელუხლებელი დარჩა ქართულ მწერლობაშიო. ქართული მწერლობის წარმომადგენელთა საუკეთესო ნაწარმოებები ნაწილობრივ მაინც ავსებენ ამ თეთრ ლაქას...

მოვიდა მწერლობაში ვაჟა ეგრისელი და მის ლექსებში გაცოცხლდა ზღვა. მის პოეზიაში ზღვა წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც ქვეყნის ლანდშაფტის დიდი ნაწილი, არამედ იგი შედის ლირიკული პერსონაჟის არსებაში, ის ყოველმხრივ არის დაკავშირებული ზღვასთან, მის სტიქიასთან, ზღვის სიმშვიდე და აბობოქრება მრავალმხრივ განაპირობებს მის სულიერ მდგომარეობას.



„...ვაჟა ეგრისელის შემოქმედება – ეს არის თვითნაბადი პოეტური მარგალიტებით სავსე ზღვა, ლაქვარდოვან ქართულ ცაზე ფიქრისა და აზრის ცისარტყელებით დაკიდებული“. (შოთა აბულაძე პროფესორი.)

ვაჟა ეგრისელმა ყველაზე უკეთესი საგალობელი თქვა ზღვაზე. პოეტი ზღვას სიცოცხლის შემოქმედად თვლის და მას საოცარი, უცნაური ძალით, მთელი არსებით განიცდის. ის ზღვის პოეტია და მართლაც თამამად შეუძლია თქვას:

„გაიღვიძებენ უცებ ქარები,  
დაკუნთულ მკლავებს გამართავენ  
  ლურჯი ტალღები  
და დაღლილ სხივებს აისხამენ  
  ვერცხლის მძივებად.  
მზე კი პირიქით,  
ზღვის აკვანში წვება ბაღლივით  
  დასაძინებლად“.

ესაა დაუსრულებელი შეგრძნება ზღვის სამყაროსი, როდესაც იშლება ზღვარი ადამიანსა და ზღვას შორის, აქ ყველაფერი ზღვით სუნთქავს და თავად მზეც აკვანში წვება დასაძინებლად.

ვაჟა ეგრისელი მთელი არსებით ერწყმის ზღვას და მისი ყოველი მოვლენა ჩვეულებრივი, ბუ-



ნებისუღელი კანონზომიერებაა, მაგრამ ზოგჯერ ზღვის მთელი სასიცოცხლო გამოვლინებანი ტალღათა და ზვირთთა დინამიურობაშია განივთებული. აი თუნდაც:

„თავზე დამჩხავის  
სიცხე ივლისის,  
უღმრთოდ მკორტნის და მეწვის  
ბეჭები.

მე ვერ შევძელი  
იისფერ „კარვით აღჭურვა“  
და ზღვა შემფოთდა  
და ნაპირთან თეთრი კენჭების  
კბილები ბრაზით დამიკრაჭუნა“.

პოეტის მიერ დახატული ზღვა შემოქმედია, სულიერი, ძლიერი, უფრო მეტიც: სულწასულია, პოეტის გიჟი ორეულია, რომელიც „ცასა და მიწას ეპოტინება“.

გკითხულობთ ვაჟა ვერისელის ზღვისადმი მიძღვნილ ლექსებს და ვგრძნობთ თუ როგორი აღფრთოვანებულია პოეტი ზღვით. ზღვით ტკბობა პოეტისათვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, თვითონაც მთელი არსებით გრძნობს და განიცდის ბედნიერ წუთებს და ალბათ ამ გრძნობას გულთმისანის სიხარულით ატარებს:

„...ზღვა ოცნებაა ჩემი



წილხვედრი!  
გემს რომ თვალს მოვკრავ,  
ასე მგონია, მიცურავს ოშკის  
ტაძარი თეთრი“.

ზღვის ბობოქარ და დაუდგომელ ფონზე ზვია-  
დად იკვეთება ადამიანის ვნებები. სიყვარული, სი-  
ძულვილი თუ ღალატი. ეს ვნებები ძლიერია, შემაძ-  
რწუნებელი და მტკივნეული:

„ზღვები რიფების თეთრი ეშვებით  
ვეება მუცლებს

კვლავ უფატრავენ  
ელვით დაჭედულ ღრუბლების რემას,  
თუმცა ქარიშხლის

ადევთ ბორკილი...  
და მერე ზღვები ეცემიან –  
მუხლებზე ღოცვად  
ნაპირთან, ცისკენ ხელაპყრობილნი“.

ვაჟა ეგრისელი ყოველი სიტყვით თავის სულის  
თრთოლას განგაცდევინებს და ჩვენც ძალუმაღ  
ვგრძნობთ, რომ მისთვის ღექსი სხვა არაფერია თუ  
არა სულიერი მღელვარების ვარიაციათა თავმოყრა.  
ზღვამ შთააგონა პოეტს სიყვარულიც, რწმენაც და  
მისთვის თავდადება. ზღვა თავად პოეზიაა. პოეტი კი  
ზღვის პოსეიდონი.



„ზღვის დაუოკებელი სტიქია ბობოქრობს ვაჟა ეგრისელის უკიდვანო პოეზიაში“, ნოდარ ხუნდაძე, პოეტი.

უნდა ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის ლექსებს ჩემი ღრმა რწმენით მაგიური მიმზიდველობა აქვთ. ისინი იმ ჯადოსნურ საგნებს ჰგვანან, რომლებიც თვალს გჭრიან და მთელი სიცოცხლის მანძილზე გიხმობენ ამოსაცნობად. აკი „პოეზია მოვლენათა შორის თანაფარდობის აღმოჩენის სასწაულია“ – ბრძანებს ცნობილი კრიტიკოსი გიორგი გაჩეჩილაძე. აღმოჩენას ყოველთვის თან ახლავს გაცემა და უნდა ითქვას, რომ ვაჟა ეგრისელის ლექსი მოულოდნელი ინფორმაციაა, როგორც აღმოჩენის ახალი სასწაულის ჭეშმარიტი განცდა.

„ღღე –

დედოფალი მზის ბაჯალლო მედალიონით

და ცისარტყელას ფერადი ქამრით,

ღამე – კი ნეფე შავი ჩოხით და მთოვარის

თეთრი ქილებით,

ცად მობრძანდება ვარსკვლავების

ურიცხვი მაყრით

და...

მათი შეყრა ღმერთმა ინება.

ეზივარ ზღვისკარად,

და შევეყურებ სულისმილევით

ღღისა და ღამის დაქორწინებას.“



ეს ლექსი ცის სივრცეებსა და მის ბინადართ  
ექდუნება და იშვიათად თუ ცდილან პოეტები ზღვის  
თემაზე დაწერილ ლექსებში ასეთი შთამბეჭდავი  
მხატვრული სურათები მოეცათ. და მაინც ერთ-ერთი  
გამორჩეული ვაჟა ეგრისელის პოეზიაში აქტიური  
ქმედების პოტენციაა. ეს თვისება გადამდებია მისი  
მკითხველისათვის, ყველა იმისადმი, ვინც მის წიგ-  
ნებს ხელში აიღებს და გულით წაიკითხავს.

### **ციალა მუსხია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწყვეტი წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია  
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)*

*გაგრძელება შემდეგ ტომში*





### ტკობის ბაღი

წარსულიდან მოფრენილი,  
აღბათ მალე კარს  
გაგიღებს  
და დაგხვდება მზისებრ ლაღი –  
გაბაშვილის –  
„სევდისა“ და  
პიერ ბოსხის –  
„ტკობის ბაღი“.

1976

## კანონი

უკანონოთა კანონმა,  
ბევრჯერ მართალი  
დასაჯა  
და მიუსაჯა მონობა.  
ზოგჯერ კი კანონს,  
ათასჯერ  
ჯობია უკანონობა!

1993



\*\*\*

რუსთაველი,

ვაჟა,

გაღა!

ცაში ბინადრობენ აღად

და ზე-ცა აქვთ ედემ-

ბაღად!

შენც ისე, ვით მამა –

ქრისტეს,

ღმერთკაცები გეწოდნენ ზევით –

ცისკენ,

მიტომ ახველ სხვებზე მაღლა...

2001



\*\*\*

აღბათ,

ბაყბაყის დედაა! –

მწარედ რომ მოსთქვამს

ზღაპრად:

– შური ვიძიო სიკვდილზე,

ეს არის ჩემი ვალიო!

„დედა-ცოლ ბოზო ამირან“,

შვილი

რად მომიკალიო!

1963



**რწმენა**

მზის ცხელ გრდემლზე ნაკვერია,  
პოეტის და  
მხატვრის სული,  
მიტომ ცეცხლზე მტკიცეა –  
ასე სწამდა კოლხ ორფეოსს,  
ფლორენციელ ჯოტოსა და  
ვენეციელ ტიციანს!

1972



\*\*\*

შორეული ლეგენდიდან –  
ამირანის ხმები ისმის:  
– უფლის ნებით და  
კარნახით,  
მე ვიპოვნე სულკალმახი,  
ძმა –  
ბადრის და უსუბისი.

1968



## საქართველო

რასაც ვამბობ,  
ავსულებს,  
ვიცი, არ ეამებათ!  
მე ვაცხადებ ამაყად,  
ცეკვითა და სიმღერით:  
კულხა –  
კოლხა –  
იბერი,  
ისე, როგორც სამება,  
ერთია და დღეს არის –  
უფალი –  
ს-ა-ქ-ა-რ-თ-ვ-ე-ლ-ო!

1976



\*\*\*

უამს მიმწუხრისას მთიები  
ტანს ლერწმებივით არწევენ,  
როს შენი ჩანგი მღერის.  
შენი „კოლხური ფსალმუნი“ –  
ოქროთი არის ნაწერი,  
ისე, ვით მიქელანჯელოს –  
სიქსტეს კაპელის ჭერი.

1997





## ეკვატორი

ზესკნელს,  
ქვესკნელს, –  
ფრთებს ატოლებ,  
და მუუფობ აქაც,  
იქაც.  
თვითონ შენ ხარ ეკვატორი,  
არქტიკაც და  
ანტარქტიკაც.

2012



\*\*\*

შორეულზე –  
შოორეული,  
მითებით და ლეგენდებით –  
სული გქონდა აძენდილი...  
მაინც წიგნი – „ფსალმუნების“  
დაგვიტოვე –  
ანდერძივით.

2012



## ხელოვნება

– მაღალი და მაღლად მხედი,  
შორეული ისმის ხმები:  
„სხვები“ სულს ძლივს დაფავენ.  
რომი უკავიათ მხრებით –  
ლეონარდოს!  
ანჯელოს და  
რაფაელს!

2001



\*\*\*

ღამაზ ოცნებად გადაშლილ,  
ჩემი სურვილის მინდორზე  
იად,  
ან ამო მიხაკად!  
სანამ სიცოცხლის ქვევრიდან –  
დრო  
ღღეებს ამომიხაპავს.

2001



**შენ გაქვს კლიტე ღავითის**

ამბობ –

ერთადერთი ხარ,  
ვინც რომ ქორონიკონებს  
არასოდეს არ ითვლის.  
ასრულებ ღვთის დაკვეთას,  
შენ გაქვს კლიტე ღავითის  
და რასაცა გააღებ,  
მას ვერავინ დაკეტავს.

1960



## მთაწი

სადღაც იელვა...  
ცის ქვაბში,  
ვით ამირანმა დეკები,  
ღრუბლები არივ-დარია...  
მეხი გავარდა ანანურს  
და ხმა უწვდინა დარიალს.  
გადააფარე ღვთის კალთა,  
შენს სამწყსოს –  
წმინდა მარიამ.

1966



**პაბანინის ვიოლინო**

რწმენა მათრობელა ღვინოა,  
და ლოცვით მთვრალი  
მიუყვები იმედის შუკას.  
შენი ჩანგი კი პაბანინის  
ვიოლინოა,  
ათასწლეულებზე –  
„კოლხურ ფსალმუნებს“  
უკრავს...

2005



\*\*\*

მთის კორტოხიდან ამდგარი  
ნისლი,  
არწივს ჰგავს აფრენილს.  
შავი და თეთრი არაგვი,  
ორ წყალის მისადგომებთან,  
ტაღლებს ფარჩებად აფენენ.  
უმთოდ  
მთიელის სიცოცხლე  
ტანჯვაა,  
სხვა არაფერი!

1968





7 000 000 000

რომ ამოდის ღამის წყვლიადიდან,  
ოთხი დღის მკვდარი  
ლაზარეა,  
შიშისგან რომ უთრთის ბაგეები.  
დედამიწაზე –  
შვიდი მილიარდი ტაძარია...  
უფლის და...  
უფლის ხელით ნაგები.

2000



## ქუხილი

ცით მოისმის ქუხილი  
და ის უფლის წყაროა.  
ის განაგებს სამყაროს –  
ხილულსა და უხილავს,  
წარმაველს და  
წარუველს.

1977



## ტურდეტანებს და ტურდულებს

რაც რომ ათასწლეულების

მერე,

მისთვის მიმღერია,

ეყოფოდა მთელ სამყაროს,

განა მარტო „იბერიას“<sup>1</sup>.

დავიწყების ნაცარწაყრილს

ვჭკვრებ: კარპენტებს<sup>2</sup> და

ბასტენტებს<sup>3</sup>,

ტურდეტანებს<sup>4</sup> და ტურდულებს<sup>5</sup>,

რომელთ სახელს და დიდებას

ადევს ტაბუ და ურდული!!!

1971

---

1 – კოლხეთის სამეფოს წინარე ეპოქაში (ძვ. წ. VII-VI ს.) ჩვენს ქვეყანას ერქვა „იბერია“.

2,3,4,5 – „იბერთა“ მონათესავე ტომები



\*\*\*

კოპალას ქვასთან

ატყვია

კლდეს –

დეგთა ნატერფალები.

თვითონ კოპალა არა ჩანს

და შავ არაგვთან დამდგარ მთებს –

ცრემლით ევსებათ თვალები,

შიშით უსკდებათ გულები.

1963



\*\*\*

ადამის ძეთა გამოისობით,  
ველარ მოურჩა მიწას  
იარა,  
რაც ცოდვად აღევს –  
კავსა და ერქვანს.  
ეს ცა და მიწა,  
კაცმა კი არა,  
თვით ღმერთმა შექმნა.

1964



## ორმოცი

(ვარიანტი)

სული

ჯერ ჩვენთან ტრიალებს,  
რადგან დღეები უკმევინ –  
საკმეველს ლურჯი იების.

ჯერ არ მოსულა „ორმოცი“,  
მერე,

მას ელის მთიებით –  
განათებული  
ორმო – ცის.

1974



\*\*\*

არაგვის გაღმა-გამოღმა –  
თვალშეუდგამი მთებია.  
წამოწოლილან ლოდები  
მხარ-თეძოზე და ნაპირთან –  
ზამთრის მზის გულზე თბებიან...  
წარსულიდან რომ მოისმის,  
აღბათ,  
კახთ-მეფის მოლაშქრე,  
თუშ-ფშავ-ხევსურთა ხმებია.

1999



## საქართველოს ისტორია

მშობელ ქვეყნის სიყვარული  
რომ არასდროს იკურნება, –  
ის სნება და  
ის სენია.  
და სიდიდით მზის ტოლია!  
ხელისგულზე ბისვენია  
საქართველოს ისტორია.

1962





**აბშილეს და აფსილეს**

ისე,

როგორც მუმლი მუხას,

მტერი მუდამ ეხვეოდა –

ოქრო-ვერცხლით ავსილებს:

მისიმიელთ,

ლაზებს,

ჭანებს,

აფშილებს და აფსილებს.

1971



## თბილისი – 1992

მოულოდნელად გაიღეს  
ლაწანი მთათა კარებმა.  
ეს არაგვია,  
რომელსაც,  
ვითარცა სამას არაგველს,  
ქართველთა „მეფის“ საშველად  
თბილისს  
რომ მიეჩქარება...

1992



## გრიფონი

აიეტის კოლხეთში,  
არსაიდან მოსული,  
უამთა მღვრიე დინებას,  
აღბათ კვლავ მოგიფონებს –  
ჩამომჯდარი –  
ზღვისკარად,  
შენი ლექსის გრიფონი\*.

1998

---

\* გრიფონი – მითიური არსება ლომის ტანით, არწივის თავით და ფრთებით.



## ამაოების ბაზარი

მღვრიე წარსულიდან

ცეცხლს რომ გვაფრქვევს,  
არაბი,

თურქი და ხაზარია.

და საიდანღაც ხმა რომ ისმის –  
შიშისმგერელი, სულ სხვა ზარია.

ცხოვრება ესე –

თეკერეის

ამაოთა „ამაოების ბაზარია“.

1967



## არჩილ მეფის ტროპარი

ათასწლეულების მერე,  
ზოგთა გარჯა მიინავლა,  
შენ კი მეფე  
მეფედ დარჩი!  
რადგან ქართველთ მეოხ ყყავ,  
ჩვენთვის სამეზის  
სანატრელო –  
მეფე არჩილ\*.

1962

---

\* არჩილ სტეფანოზის ძე (VIII ს.)



**წარწერა საფლავის ქვაზე**

ადამის ძის ნაშიერი,  
    კვლავ მწყურვალი,  
    კვლავ მშიერი,  
სადაური სად მიდიხარ,  
წუთისოფლის უსტაბაში.  
    „რას მიყურებ,  
    რომ მიყურებ,  
მე სახელში ვარ...  
    შენ კი – გზაში“.

1963



აქეთ – ფოთი,  
იქით – ფათი

ეგვიპტე კი უდაბნოა,  
და კოლხეთი – ღაზისი.  
მთვარეს მოსავს უფლის კვართი.  
იქ – ნილოსი,  
აქ – ფაზისი,  
აქეთ – ფოთი,  
იქით – ფათი\*.

1981

---

\* ფათი – ქალაქი კუნძული კრეტაზე (საბერძნეთი)



**ხე – ცნობის**

ნისლი მოსავეს ცას და მიწას,  
საიდანღაც ვიღაც ყივის:  
რომ სამოთხეს ეცნობა,  
გწამდეს: დღეა ხე –  
ცხოვრების,  
და ღამე კი – ხე – ცნობის.

1976





**შავშეთ – ჭანეთ – ერუშეთი**

ველარ გავუძელით დელგმას –  
ოსმალო – შუბის,  
სპარსო – მოისრის!  
დავიწყებას შევეშენდით!!!  
წარსულიდან –  
ხმა მოისმის –  
შავშეთ –  
ჭანეთ –  
ერუშეთის.

1967




\*\*\*

ვარსკვლავებთან თამაშით,  
მზე წყვილიაღში ერთობა...  
ბრწყინავს მთვარის  
ფერდობი.

ბედს,  
მთლად ნუ მიენდობი  
და არცა უბედობას!

2003



## კოლხეთი თვით ბიბლიაა

ჰელიოსის ხსენებაზე,  
ათასწლეულები გამირბიან,  
რადგან მისი შვილი ვარ და...  
დედის რძე მეკუთვნის.  
კოლხეთი თვით ბიბლიაა  
და... ბიბლიის დედაა –  
„ეფუთი“.

1971



\*\*\*

ქართა და ქარიშხალით  
მთვრალი ზღვა თავს  
ლოდებს ახლის.  
და ზვირთებმა გმინვა მორთეს:  
თაყვანს მუდამ სცემდა ხალხი,  
ღვინის არა,  
ღექსის ღოთებს.

1969



\*\*\*

ელვა ცეცხლს ანთებს,  
მეხი კი  
ცის გრდემლზე სივრცეს აბრტყელებს.  
მთა –  
მუხლმოყრილი ღოცულობს...  
და მთვარე –  
შიშით მოცული,  
ღამის ტოტზე ზის ბარტყივით.

1963



\*\*\*

ტივროსის და ევფრატის პირ,  
ათასწლეულების იქით –  
დაეკებლი ნაშიერებს –  
დიდი ევროსის და ქართუს!  
უხარიათ, რომ გხედავენ  
ასე,  
მუდამ ხმალშემართულს.

2012



**პოეზია – მზე არის**

უფლის ნაწყალობელი  
სახუქარი ზენარის,  
ყოფნის სინარნარეა:

პოეზია –  
მზე არის,  
და პროზა კი – მთვარეა.

2001



**ვით ნიკოლო მაკიაველს**

მოკიაფე უამთა გვირგვინს,  
ღამის ფერებს კვლავ აწნავენ,  
მიტომ დღეებს აკლია მზე.  
და ეს გტანჯავს  
და გაწვალებს,  
ვით ნიკოლო მაკიაველს.

1977





\*\*\*

სიბრძნით და სიჯიუტით,  
ზოგი ბაძავს დიდყურებს  
და ზოგი ცის –  
ახოს ხნავს.

ვინც კი მაღლა იყურება,  
ის სულ დაბლა დახიხავს.

2010



\*\*\*

„სუფთა სინდისი –  
ბალიშია ჩვენი რჩეული“,  
ვითარც ამბობდა  
ჰენრიკ იბსენი.  
იმან კი რა ქნას,  
უსინდისობას გაჩენის  
დღიდან რომ არს  
ჩვეული  
და მის ქონასაც ვეღარ იხსენებს.

1998



\*\*\*

ვარსკვლავით ცაღ ბინადრობს  
შენი ფიქრი და  
გონება.

არც ნება გაქვს,  
არც სურვილი,  
რომ მაცხოვარს არ მონებდე  
წმიდა ეფრემ ასურივით.

1967



\*\*\*

ყველა მეფის თუ იმპერატორის  
თავზე ეკიდა ხმალი –  
დამოკლეს!  
არ არსებობდა მოსვენება მათთვის,  
არც ძილი,  
სიამოვნება არის ხანმოკლე,  
ტანჯვა ყოველთვის  
არის ხანგრძლივი.

2003



## მწვერვალი

კოლხეთის დიდ წარსულიდან –  
მოფრენილმა ქარიშხლებმა,  
შენი ბედი –  
ზღვით არწიეს...  
ხამუმ-ხამუმ შენ ლაშქრავდი  
სიმაღლეებს,  
მწვერვალს მიტომ მიაღწიე.

2011



\*\*\*

ზოგჯერ ყოფნაც კი  
ძალუძს არყოფნას,  
პატივგება რომ უცვებ  
აყაროს!

ზოგჯერ სიკვდილშიც არის მშვენება.  
რა ქნას მდიდარმა,  
რომ არ ყოფნის მთელი სამყარო,  
ღარიბ-ღატაკს კი –  
მცირე  
ბევრად თუ ეჩვენება!

2012



**იმედი**

მწუხრიდან –  
განთიადამდე,  
მზეს და სიცოცხლეს  
მოველი  
და სამოცამდე მიველი.  
ამქვეყნად არსი ყოველი  
ცოცხლობს –  
ხვალის დღის იმედით.

2001



## ვითა დანტე ალიგიერს

არ იქნება არ გათენდეს!  
და ჩამომდგარ ღამის წკვარამს  
აზრთა ცეცხლის ალი გიებს.  
უამთა დენა –  
ყველას ზარავს,  
ვითა დანტე ალიგიერს.

1971





## ისტორია

სადღაც ათასწლეულთა  
იქით,  
ვხედავ ბევლ კოლხეთს,  
პონტოს სანაპიროზე წამოწოლილს  
ინახად,  
მთომინებით იობის.  
ისტორია ინახავს –  
ხსოვნას კაცობრიობის.

2003



\*\*\*

რა არის ჩვენი სიცოცხლე,  
ზღვის მოქცევა და  
მიქცევა!  
დღევანდელი დღე –  
წარსულად,  
ხვალევე გადაიქცევა.

2001



## თავი უნი შეიცან

იქ არ ვიცი,

მაგრამ ცისქვეშ,

ვითა ადრე მეფობს დრონი –

ჩემიცა და

შენიცა.

და ვით გემოდურავს ციცერონი:

„თავი უნი შეიცან!„

1999



\*\*\*

გიყვარდა და...

დღეთა ბოლოს,

რომ ვერ გაუძელი ურვას,

გაიფიქრე ტრფობის ტანჯვით

კმაყოფილმა:

სიყვარული ჩემთან სტუმრად

არახოდეს არ ყოფილა!!!

2014



**გალილეო გალილეს**

თუკი,

ვითა სალესი ქვა,

ცოდნის ლესვით გაიღევი,

მაშინ უფლის კალთა

გფარავს:

წარსულიდან ხმა მოისმის

გალილეო გალილეს.

2013



## სიკვდილამდე არ მოკვდე

ილოცო და დღეში შვიდგზის  
ჯვარი უნდა გადისახო,  
სული რომ არ ამოგხდეს!  
მიზნად უნდა დაისახო –  
სიკვდილამდე –  
არ მოკვდე!

1999



**გონ-ბრმათა და ყრუ-მუნჯთა**

ცისქვეშ ლოცვად დამდგარან  
ქართველის მთები –  
ორსული.

ზღვებს თვალები ბრაზისგან  
ისევე ჩაულურჯდათ!  
ეჰა! –

უამი მოსულა:  
გონ-ბრმათა და ყრუ-მუნჯთა.

1999



\*\*\*

ძველ კოლხეთის წარსულიდან  
მოფრენილი შენი ლექსი,  
ველარ იღებს –  
კომპლიმენტებს!

თუმცა იგი  
თავს დაბრუნავს  
სფეროებს და  
კონტინენტებს.

2014





**შატილსა და ბარისახოს**

როს იხილავ ღვთისმოსავი,  
ვაჟას ჩარგალს,  
ვით ოლიმპოს  
და შატილს და ბარისახოს  
მუხლი უნდა მოიყარო,  
ჯვარი სამეზის გადისახო.

1968



## უფლის ნებით

მე,

ვითარცა კანონმცოდნე,  
ვიქნებოდი მოსამართლე,

ანდა მსაჯული.


არ დადგებოდა ცოდვათა მთები.

მაგრამ მე რა ვქნა,

მაცხოვრის ნებით,

პოეზიის კლდეზე ვარ მიჯაჭვული.

1975



**ორფეოსი – ეგრის ქვე!**

(ვარიანტი)

ბერძნობა ვით დაგწამა?!

სიცბიერე ყველამ ზღოს! –

სწორედ გულში ეგ მიძევს!

კოლხთა მოდგმავ! –

პელაზგო,

ორფეოსო ეგრის ძევ!

1974



## თაფლი და სანთელი

მლოცველს თაფლის და  
სანთელის,  
მეტი რა უნდა ენატრა!  
ქარიშხალი ვერ ჩააქრობს –  
კეთილ აზრის და  
სიცოცხლის –  
დანთებულ რწმენის კელაპტარს.

2010



**ჰკითხეთ ბრძენკაც ჰეროდოტუს**

ისტორიის მამათ-მამას,  
ჰკითხეთ ბრძენკაც  
ჰეროდოტუს  
(თუკი კიდევ შეგვიტყვენ!!!)  
„თუ არ ჰყავდათ  
ერთი დედა“,  
კოლხებსა და ეგვიპტელებს.

1968



\*\*\*

მცირედ გიჩანს სამყარო  
და გკლავს მისი  
იჭვი, რა!

ან რა მოსატანია ლონდონი  
და პარიზი.

თვალი ცისკენ გიჭირავს  
გელის იქ ასპარეზი.

1983



## მოტაცება

არგო იყო –

კოლხთა ნგრევის დასაწყისი!!!

მაღალი ცა

მიწას დასცეს!

ტყუილია! –

არც მედუა,

არც „საწმისი“,

ცრუ ბერძნებმა

კოლხთა სული

მოიტაცეს!

1960



## ღაბრუნება

ფეხისწვერზე აიწევს პონტოს ზღვა  
 და ფაზისი,  
 როს ეწვევი დაღლილი შვილი  
 უძვირფასესი.  
 გაიხარებს ქუჯის და გუბაზ მეფის  
 კოლხეთი;  
 გეტყვის: ბედნიერი ვარ, შვილო! –  
 რადგან მოხვედი!  
 ...მიგვატოვა ეგროსის ჯილაგმა  
 და გვარტომმა!!!  
 შენ იყავი იმქვეყნად ჩვენი სვე და  
 პატრონი –  
 და... ქცეული კოლხეთად...  
 აწი, ჩვენ ვინ მოგვხედავს?!

2000



\*\*\*

აფხაზი და ქართველი –  
ერთი იყო ყოველთვის, ერთურთს  
გადანასკვილი.

ამირანი –  
იგივე,  
იყო კოლხი აბრსკილი.

1966



## შესანიშნავი უპიღეული

„შენს შვიდ მეოხანს სახალხოს“.  
გალაკტიონი

შვიდნი

მშვიდად უსხედან სუფრას  
მარადისობის.

აჰა,

მერვეც მოვიდა! –  
ლექს მტკერი რომ  
ადინოს...

სხვას არავის ელიან!

ო, რა სანატრელია,  
ამ დეკაცთა ნადიმი!..

1961

\*\*\*

ნეტავი ვისი არის სამარე,  
შორით რომ მოჩანს მთვარე  
ბორცვივით!  
უფლის რჩეულო,  
ღვთისმოსავო,  
ო, მინადორა!  
გაჩენის დღიდან ცაზე ლოცულობ,  
რადგანაც მიწა –  
თურმე არის ყუთი  
პანდორას!

1979



\*\*\*

ამა ცხოვრების უსიერ ტყეში  
ყოფნას,  
არყოფნა უხმობს ნიადაგ,  
ისე, ვითარცა ოლოლი ოლოლს.  
რადგანაც ვცოცხლობ,  
ალბათ უფლის ნებას  
ვასრულებ.  
ჩემს აქ ყოფნასაც ექნება ბოლო,  
თუკი ამქვეყნად –  
ყოველივეს აქვს დასასრული.

2012



\*\*\*

ჩემს შემდეგ ეგრისელად 13 კაცი იწოდებოდა“.

ვაჟა ეგრისელი

გაზეთი „ახალი თაობა“, 27.05.2013

ზოგ ჩაჩნებს და ჩაჩნაგურებს,  
რომ უშენენ თავს აგურებს,  
პლუტური ან ამგვარი,  
ნუ ექნებათ მცდელობა,  
რომ თითქოს და წაჰკვარონ  
ვაჟას  
ეგრისელობა!!!

2013



\*\*\*

სიყვარული მამულის –  
თავკეკეშ გედო ბალიშად,  
როდესაც იძინებდი.

ჯერ არ მიხვალ...

წახვალ და –  
„თვის ერს შეეძინები“.

2010



\*\*\*

„შოთა, აკაკი, ილია, ვაჟა და...  
გალაკტიონი

თაყვანს სცემ მათ სიდიადეს,  
ვინც რომ აღარ გინახავს.  
მათ ხსოვნას კი იღუმაღ –  
გულში კრძალვით ინახავ;  
იმათ ნახვას ნუ ჩქარობ,  
რადგან ჯერ მათ „ამქარში“,  
ვერ დაჯდები ინახად.

1966



## ბანძი

დღისით სანთლით დადიოდი,  
ისე, როგორც დიოგენე,  
ათას ცოდვა აკიდული  
და... ბოლოს განძს მიაგენი –  
გადამალულს –  
ძველ კოლხეთში,  
და... დაკეტილს ცხრაკლიტულით.

1961





## ლოდი60

მუნჯი საუკუნენი

ფეხაკრეფით მიდიან...

რა ქნან!

რუსთაველური

ვერ გაშალეს მხარ-ბეჭი.

შენ გელიან!..

შენ გახსნი! –

უფლის ნაწერ წიგნს – დიადს,

„შივიდი ბეჭდით –

დაბეჭდილს!..

1961



## აბაძახეზს და აბაზეზს

ქრისტიანი ჯიქები კი,  
ოსმალო აღას  
კვლავ აბრაზებს  
და ამიტომ მათთან ერთად,  
„მუჰაჯირად“ კვლავ მილაღავს –  
აბაძახეზს<sup>1</sup> და აბაზეზს<sup>2</sup>,  
ბუედულებს<sup>3</sup> და  
უბიხეზს<sup>4</sup>.

1976

---

1,2,3,4 – ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ქართველთა მონათესავე ტომები



\*\*\*

არაგვის ტალღებს მოაქვთ მთებიდან

ხმა და ყიჟინა

წარმართ ფხოველთა.

აღარც სიძე ჩანს,

აღარც მამარი.

და ლოცვად დამდგარ სვეტიცხოველთან –

ისმის ტალღების

აყალ-მამალი.

1971



\*\*\*

სამყარო გულს გაჩნია იარაღ და...  
სანამ სალეს ქვასავით  
გაიღევი,  
მარტო კოლხეთი კი არადა,  
ჰყეები დედამიწის ისტორიას –  
„გეოლოგიით ლაიელის“.

1989



**რუსოს, ჰეგელსა და ფროიდს**

როს კოცონზე დაწვეს ბრუნო,  
მაშინ მიწის ბრუნვა იგრძენ!  
წამით შეწყდა ათვლა დროის.

და...

ესეხე ნორჩმა სიბრძნე:

რუსოს,

ჰეგელსა და

ფროიდს.

1963



## პატაგონია

რადგან ყველაფერს უამი –  
 უუამო,  
 დავიწყების ქარს ატანს გგონია,  
 ცაო მაღალო!  
 მარქვი ყველა!  
 რადგან კოლხეთის პატაგონია\*,  
 პონტოდან აღწევს –  
 ცეცხლოვანი მიწის  
 არქიპელაგს.

1971

---

\* პატაგონია – გეოგრაფიული რეგიონი, რომელიც მოიცავს სამხრეთ ამერიკას, არგენტინას, ჩილეს და აღწევს ცეცხლოვანი მიწის არქიპელაგამდე.



## კველი კოლხეთი

რა დღეს,

რა ხვალ კოლხეთი,

მტკვარს და ფაზისს გაცდება,

ნილოსს და შუამდინარეთს.

თქვენ

გგონიათ, მას სძინავს?!

არა,

თავს იმძინარებს.

1969



\*\*\*

მოკლე,  
მაგრამ ხმა ღვთიური,  
გაჩენიდან ციდან გესმის  
და ზეცისკენ იურვი,  
მიტომაა შენი ლექსი  
ასე ლაკონიური.

1968





**ბებერ ეტრატებს და  
პალიმფსესტებს**

ახლა შორსაა გზა და მანძილი,  
რომ გაადვიდოს არ ჩანს  
მოთავე,  
და მღვიმეებში სძინავთ ღრმა ძილით:  
ბებერ ეტრატებს  
და პალიმფსესტებს,  
დარდის გრაგნილებს,  
პერგამენტებს და  
„ოთხთავებს“.

1976



\*\*\*

მთებით სახედადარული,  
შენი სიმაღლიდან, მზეო,  
დედამიწა ჩანს ხნიერი.  
თუმცა ცით მას მეურვეობს –  
ყოვლად ბრძენი,  
ძლიერი და  
სახიერი.

1982



\*\*\*

თუ არაა უფლის შვილი,  
გზას უფლისკენ ვერ  
გაიგნებს,  
ნისლში მდგარი, ვით ნობილე.  
დრო დასტირის –  
ადრე მიცვალებულ წიგნებს,  
საწყალ ლექსებს  
მკედრად შობილებს.

2010



\*\*\*

ეშმაკისეულთ ღამით არ სძინავთ,  
ვიდაც თხოულობს შველას –  
არიქა!

ზღვის სიჩუმეში ავარდა ალი  
და ღამის ნისლში გაერთა  
ორი რქა,  
ვითარც უღვაში საღვადორ დალის.

1971



**ქუჯისა და ფარნავაზის**

ღვთით კურთხეულ ქართულ მიწას,  
ადმოსავლეთ –  
დასავლეთით,  
ღვთის ნერგი რომ ფარავს ვაზის,  
ამას უნდა ეუმაღლოდეთ  
ქუჯისა და  
ფარნავაზის.

1972



## პოეტი ხარ ველური

ქაოსური სამყარო,  
შენზე იყო ორსული  
და წაპგვარე მზეს რული.  
უამთა უღრანებიდან –  
წეწვა – გლეჯით მოსული,  
პოეტი ხარ ველური.

2011



\*\*\*

კოლხეთის დიდი წარსულის –  
შენ გააცოცხლე დრო იგი,  
რომელიც აღარ ნადრახობს.

„ადექ!

მგლის მუხლი მოიბი,  
რამ წაგახდინა, ყაძახო!,

1964



**მეექვანეტი**

*ღადო ასათიანს*

„საღაღობოს“ გაჰყიოდა,  
ლექსი ჰქონდა მეხის დარი...  
და დღეს კი ერთად დამსხდარან  
და ელიან იმ მზეჭაბუკს:  
ლეშკაში<sup>1</sup> და  
  ლეხიდარი<sup>2</sup>,  
ლასურისი<sup>3</sup> და ლასხანა<sup>4</sup>.

1960

---

<sup>1</sup> 1,2,3,4 – სოფლები ლეჩხუმში





**ქარიატელ ქარიტებს**

პოეზიის ღმერთი კი,  
რადგან თვალებს გარიდებს!!!  
ისე, ვით ევრიპიდე,  
„მუხათ შემწედ მოვუხმობ“  
ქარიატელ –  
ქარიტებს.


1966



\*\*\*

სადაც არ არის საჭირო,  
მავანი ცხვირს ჰყოფს  
ხშირად იქ  
და ჯოჯოდ სახავს ფერიას.  
გვასწავლის სიბრძნე  
ზირაქის:  
„ფისსა და ამპარტავნებას –  
ერთი ზნე,  
ერთი ფერი აქვს“.

1986



\*\*\*

შენი სამუფეო ზეცაა,  
სად მნათთა ციმციმი და  
კიაფია  
და ადის ალი.

შენი პოეზია – „ცეცხლმოდებული  
ქირაფია“ –

საღვადორ დალის.

2012



### 300 ქსერქსე და დარიოს

ომის ღმერთმა არესმა,  
ვეზირიც და  
ხელმწიფეც,  
ისე ნუ გადარიოს,  
რომ ღმერთობა მოუხდეს  
ვით ქსერქსეს<sup>1</sup>  
და დარიოს<sup>2</sup>!

1965

---

1,2 - ქსერქსე, დარიოსი (მამა-შვილი) - სპარსეთის მეფეები (ძვ. წ. V ს.)



## ისევ ამაღლება

ცისკარივით გათენდი,  
მაგრამ აღარ დაღამდი!  
თუმცა შურის და  
მტრობის  
